№ 3-67

ლიტ.-ხელ.-კრიტიკული ჟურნალი

№ 3

წელიწადი მეორე

ფასი 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ

„კლდე“-ზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ფ ა ს ი:

	1 წლ.	6 თვ.	3 თვ.	1 თვ.	ცალკე №
	5 მან.	2 მ.75	1 მ.50	50 კ.	10
სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ	4 მან.	2.50 კ	1 მ.	40 კ.	10

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი.

განცხადების ფასი:

კანტორასთან შეთანხმებით.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ყ ო ვ ე ლ თ ვ ი უ რ ჟ უ რ ნ ა ლ

„გ ა ნ თ ი ა დ ზ ე“

(წელიწადი პირველი)

დ ა ყ ო ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ გ ა ზ ე თ

„შინაურ საქმეებზე“

(წელიწადი მეხუთე)

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 4 მანეთი, ორივესი ერთად 8 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს **ორივე გამოცემა წლიურათ 7 მან. დაეთმობა.** ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მჭედლიძე.

33(05)
–67
323

კლდე

№ 3

13 იანვარი 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც 1913 წლ. არ გამოუწერია ჟურნალი „კ ლ დ ე“, იანვრიდან აღარ გაეგზავნება.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10—3 საათ.

მისამართი: ტფილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: ტფილისი კლდე.

სარჩევი: მესამე პოზიცია.—**ა—ისა.** ბასსი.—**ა—ლისა.** ციხე-დარბაზი.—(თარგმ.) **ეკ. გაბაშვილისა.** კვირიდან-კვირამდე. ნაპერწკლები.—**ეკალისა.** წვრილი კრედიტი.—**ნაავდარაანთ კარელისა.** კოოპერატიული ქრონიკა. ხაზინა და ქართველი ხალხის მამული.—**თევდ. ღლონტისა.** ქართული თეატრის გარშემო.—**რაესი.**

მესამე პოზიცია

„სახალხო გაზეთს“ ერთი სასაცილო ჩვეულება სჭირს. პირველი პირის შესახებ მუდამ მესამე პირის პოზიციას იჭერს. როცა არწმუნებენ გაზეთს, რომ არ შეიძლება რიცხვების ასე თვლა, და პირველიდან პირდაპირ მესამეზედ გადასკუპება, რადგან პირველსა და მესამეს შორის მეორე არსებობს, მაშინ იგი წინ აყენებს ეგრედ წოდებულ თავის „მესამე პოზიციას“.

როდესაც ამას წინად მან გამოაქვეყნა კახეთის რკინის გზის დოკუმენტები, სოლომონის სიბრძნე იხმარა და კრიჟანგ ბებრუხუნასეებ ბრალი შუაზედ გაჰყო. ნახევარი თავ. პ. თუმანიშვილს აკუთვნა, ნახევარი—თავ. გ. ბაგრატიონს. თვით კი, როგორც ასეთ საქმეებს შეეფერება, „მესამე პოზიციაზედ“ დასდგა.

რკინის გზის სადგურებზედ არიან ისეთი ცარიელი ვაგონები, რომლებსაც ხან ერთ მატარებელს გამოაბამენ, ხან მეორეს. ჩვენი ცხოვრების სადგურზედ „სახალხო გაზეთი“ ამ ცარიელი ვაგონის როლსა თამაშობს. მას არა აქვს თავისი საკუთარი ლიანდაგი, თავისი საკუთარი ტვირთი. ხან ერთ საკითხს გამოებმება კუდში, ხან მეორეს და ყველგან ბოლოთრიობას თამაშობს. ასევე იქცევა იგი თავადაზნაურულ საკითხშიაც. ბავშვმაც კი იცის რაშია საქმე. ჩვენს წინ გადაშლილია საკითხი კახეთის რკინის გზისა, მთელის სიგრძე-სიგანით. იმაზედ ცხადი pro et contra, რომელსაც წარმოადგენს კახ. რკ. გზის საკითხში თავ. გ. ბაგრატიონი და თავ. პ. თუმანიშვილი წარმოსადგენადაც კი ძნელია. უნდა გადაწყდეს საკითხი—იყვეს თუ არა კახ. რკინის გზა თავად-აზნაურობის ხელში. თუ გვინდა,—მაშინ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა ხმა თავ. გ. ბაგრატიონს მივცეთ, თუ არ გვინდა—მაშინ ხელ-ფეხი უნდა გაუხსნათ თავ. პ. თუმანიშვილს და მოვაშოროთ მას თავიდან ყოველივე საყვედურიც.

„სახალხო გაზეთი“ ალალის გულით ორივეს ქოქოლას აყრის და ისევ თავის „მესამე პოზიციაზედ“ სდგება.

„სახალხო გაზეთის“ ნებაა რომელ პოზიციაზედაც უნდა იმაზედ შესდგეს, რადგან ყველა ქათამს თავისი ქანდარა აქვს.

მაგრამ ბურიდანის პირუტყვობა ასეთ საკითხში და ვერ გადაწყვეტა იმისა—მარჯვნივ სჭამოს თივა, თუ მარცხნივ, „დიდ“ პოლიტიკურ გაზეთისთვის შეუფერებელია. მაგრამ ყველაზედ მეტად ჩვენ გვაოცებს ის თავ-შეუდებელი საქციელი, რომლითაც ექცევა გაზეთი თავად ბაგრატიონსა. თუ „ჩამოყალიბებულ“ პოლიტიკურ ჯგუფის ორგანოს, იმდენი გამბედაობა აქვს, რომ დითირამბებს უმღერის თავ. ალექსანდრე ორბელიანის მარშლობას, იმდენი რიგიანობა მაინც უნდა ჰქონდეს, რომ როცა თავ. ბაგრატიონის წინააღმდეგ სწერს და მის მოღვაწეობას მავნედ სახავს, თვისი აზრი ერთი მაგალითით მაინც დაასაბუთოს.

რითი განსხვავდება „სახალხო გაზეთი“ გოთუას „ზაკავკაზსკაი რეჩისაგან“ რომლის წინააღმდეგ იგი ყოველ დღე „ხელ მოწერილ“ პროტესტებსა ბეჭდავს, თუ იგიც ცარიელის ცილის წამებით სცდილობს საზოგადოების მოტყუილებას. ან რაზედ ამყარებს თავის ავტორიტეტს გაზეთი? რად ჰგონია რომ ამ ცილის წამებას ვინმე დაუჯერებს. ერთად ერთი, ვისაც კი შეეძლო ამ ცილის წამების დაჯერება, მხოლოდ „ზაკავკაზ. რეჩია“, მაგრამ, განა ამ გაზეთს არა აქვს უფლება უთხრას „სახალხო გაზეთს“— ჩემო კარგო, ეგ ხომ ჩემივე შეთხზულია!

მაშ რად დასჭირდა გაზეთს ასეთ კრიტიკულ დროს საბედისწერო თამაში?

თუ გაზეთის თქმით ჩვენი „საზოგადოებრივობის“ ხსნა თავ. ბაგრატიონის გაშავებაშია, განა სიაბსურდესთან ერთად, ამით უპირველესად ყოვლისა, გაწბილებული არ არის ის პოლიტიკური პარტია და მთელი მისი მოღვაწეობა, რომელიც ყველა ქუჩაზე ჰყვირის—ხალხი ჩვენ მოგვდევს, ფესვები ღრმათა გვაქვს გადგმულიო! განა სირცხვილი არ არის „გაბატონებულ“ დემოკრატიულ და თვით სოციალისტურ პარტიისთვის, რომ მათისავე სიტყვით მთელი ხალხის ბედი თურმე დეპუტატთა საკრებულოს ბნელ ოთახებში ყოფილა გამონასკული და მხოლოდ ეხლა მიხვდნენ საიდან მოგველის საფრთხე. და თუ მართლა ასეა, გულახდილად გვსურს შეკითხოთ გაზეთს, განა უკვე დაგვიანებული არ არის „სამშობლოს ხსნა“.?

მიუხედავად ყოველი რწმუნებისა, რომ „სახალხო გაზეთი“ თავად-აზნაურთა საქმეებში არ ერევა—უკვე დიდი ხნის მიჩნეული ფაქტია, რომ „სახალხო გაზეთი“ აქტიურ მონაწილეობას იღებს თავად-აზნაურობის ცხოვრებაში და თავის ორჭოფულის მდგომარეობით საქმეს მხოლოდ აძნელებს. ამას ამტკიცებს ის თავის წერილებით, ამას ამტკიცებს ის თავის ჯგუფის წევრებით, რომლებიც აკრობატულის მოხერხებით ერთსა და იმავე დროს დემოკრატულ ჯგუფის წევრებიც არიან და თავად-აზნაურთა ცხოვრების პირველ რიგებშიაც სხედან. ჩვენი საქმე არ არის ვილაპარაკოთ მათ პარტიულ ეთიკაზედ, მაგრამ როდესაც გაზეთი ეგრედ წოდებულ „ოპოზიციის“ რიცხვში თავისიანებსაც ხედავს და ამ თავისიანებს ურჩევს იღონეთ რამე, რომ თავად-აზნაურთა ბიუჯეტი „ყოველ-წოდებრივი“ თანხა გახდესო, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ვსთქვათ, რომ სწორედ ეს „სახალხო გაზეთის“ ჯგუფის დემოკრატიული წევრები იყვნენ, რომ კახეთის რკინის გზის საკითხის დასმის დროს მაისის კრებაზედ, დემონსტრატიულად კარში გალაგდნენ. და საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ იდგა სათანადო სიმაღლეზედ იმ წუთში, „საზოგადოებრივობის“ მტერი თავ. გ. ბაგრატიონი, თუ ეს დემოკრატიული კუდი რეაქციონური „ოპოზიციისა“, თუნდა იმავ ავტორისთვის მიგვინდია, რომელმაც კახეთის რკინის გზის დოკუმენტები გამოაქვეყნა და საზოგადოებას ის ფაქტი კი დაუმალა, რომ სწორედ ამ „სახალხო გაზეთის“ ერთმორწმუნენი მეთაურობდნენ იმ თექვსმეტ კაცს, რომლებიც საჭიროდ არ სცნობდნენ თავ. ბაგრატიონისთვის განუსაზღვრელი უფლება მიეცათ კახეთის რკინის გზის დახსნის საქმეში.

არ შეგვიძლიან გვერდი აუაროთ აგრეთვე იმ აბსურდულ მსჯელობასაც, რომელიც თავად-აზნაურთა ბიუჯეტის და ამ ბიუჯეტის განაწილების უფლებას სხვაზედ გადაცემას შეეხება, თუ გინდ ეს სხვა „ყოველ წოდებრივი“ დაწესებულება იყვეს. სრულიად უვიცი უნდა იყვეს ადამიანი და ჩვენი თავად-აზნაურობის ცხოვრების ისტორია არ უნდა იცოდეს, რომ ასეთი აბსურდული რამ

შესთავაზოს საზოგადოებას. ერთი მეთაურთაგანი გაზეთისა კ. აბაშიძე წარსულ წლის წ. კ. გ. ს. კრებაზედ იმისი წინააღმდეგიც კი იყო, რომ საზოგადოების კუთვნილი სამუზეუმო ნივთები უფრო სპეციალურ საზოგადოებას გადასცემოდა, წელს კი გაზეთი გამოდის და ყოვლად უთავბოლო აზრს ჰქადაგებს, რომ მთელი თავად-აზნაურული ქონება ისეთ კერძო და დროებით საზოგადოებათ გადაეცეთ სამუდამოთ და საკუთრებათ, როგორიც არიან სასკოლო, წერა-კითხვის და სხვა საზოგადოებანი; და იმის გარანტიას კი არ იძლევა,—ეს საზოგადოებანი ხვალაც იარსებებენ თუ არა?

თუ ეს არის ,,სახალხო გაზეთის'' დემოკრატიზმი და ,,ყოველ-წოდებრივობა'', მოვახსენებთ გაზეთს, რომ გონიერება და ჭკუა თვით დემოკრატიზმისთვინაც საჭიროა და მის პოლიტიკაში კი ამას ვერ ვხედავთ.

ბ ა ა ს ი

II

„სანადელო“ ფული.

ეს მესამე შემთხვევაა, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ქართველი თავად აზნაურობა კარგა ბლომად ფულს იღებს ბატონ-ყმობის წყალობით. სჩანს, ბატონ-ყმობა გემრიელი ლუკმა ყოფილა. „ყმა-სულის“ გამოყენება და მით სარგებლობა შინაურ, საოჯახო ნივთივით, ისპობა სამუდამოთ ამ წლის პირველ იანვრიდან და მაშასადამე დღეიდან ველარავინ მოესწრობა მეოთხე შემთხვევას „ყმა-სულით“ სარგებლობისას, ახლა კი, ალბად ღვთისა და ბედის წყალობით, ყმა-სული მოისვენებს და არხეინად ივლის ქვეყანისა პირსა ზედა.

პირველი შემთხვევა ყმა-სულის გამოყენებისა შინაურ, საოჯახო საქმისათვის მოხდა ნეტარ ხსენებულ თავად მიხეილ სიმონის ძის ვარანცოვის დროს (1844—1854 წ.) ინგლისურ გემოვნებაზე აღზრდილმა დიდებულმა მოისურვა და სცხო საკეთილოდ, რომ ქართველ თავადს და აზნაურს დაენებებინა თავი სოფლის ჭვარტლიან სახლ-კარისთვის, ხარ-კამეჩისთვის, ქ. თბილისში დატრიალებულიყო და გაეჩაღებინა ევროპიული ცხოვრება. ამისათვის საჭირო იყო ფული და მხოლოდ ფული. თ. ვარანცოვმა დააარსა „პრიკაზი“, რომელიც ფულს აძლევდა ბატონს და გირაოდ ყმას იღებდა. პრიკაზისთვის იმდენად ხელ-საყრელი არ იყო მამულ-დედული საგირავნოდ გამზადებული [illegible], როგორც თვით ყმა-სული, მისი [illegible], მარჯვენა ხელი და დოვლათი. როგორც სანთელს ფარვანა, ისე მიესია ჩვენი თავად-აზნაურობა პრიკაზს და სულ მცირე ხანში იქიდან გამოიტანა თითქმის სამი მილიონი მანეთი.

ეს აუარებელი ფული ბალსა და „ვეჩერებს“ მოუნდა, კოხტა ფრაკებს და ქალთა კაბებს. გახვრეტილი ბისტი რა არის, ისიც კი არ მოხმარებია ჩვენს უნუგეშოდ და უპატრონოდ დარჩენილ სოფლის მეურნეობას. ასე უნაყოფოდ გაიფლანგა ეს აუარებელი ეროვნული ქონება.

ვიყავით მდიდარნი და ვერ მოვიხმარეთ სიმდიდრე, გავფლანგეთ იგი და წყალში გადავყარეთ.

მეორე შემთხვევა ყმა-სულის გამოყენებისა გახლდა ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს 1864—1865 წ. დიდ და სხვილ მებატონეთა ანგარიშით, ზედი-ზედ რომ ავიღოთ, თითო კომლი ყმა ბატონს აძლევდა წელიწადში ოცდა ათ თუმანს. ეს დიდი შემოსავალი 1864 წლის კანონმა მოუსპო ბატონს. დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს შეებრალა ქართველი თავადი და აზნაური და უქვეშევრდომილესად სთხოვა თავის ძმას, იმპერატორ ალექსანდრე მეორეს—ნუგეში ეცი გაჭირვებაში ჩავარდნილ ჩვენს დიდს მოამაგე თავად-აზნაურობასო. მეფემ ისმინა თხოვნა ძმისა და უწყალობა თავად-აზნაურობას თვითოეულ მამრობითის სქესის ყმა სულზე ოც-ოცდა ხუთი მანათი. რესკრიპტი მეფისა ამ წყალობის შესახებ წაკითხულ იქმნა ქ. თბილისში, სასახლეში 8 გიორგობისთვეს 1864 წელს.

დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობას ერგო სულ ხუთ მილიონ მანათზე მეტი (5.227,296 მან.), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოისას ორ მილიონ მანათამდე (1.840,000). ორი მილიონი იყო გადადებული, და მთავრობამ აღარ ინება ერთხელ ქისიდან ამოღებული ფული და დარჩენილი 160,000 მან. უწყალობა ამავე თავად-აზნაურობას სადგილ-მამულო ბანკის დასაარსებლად. მაშასადამე ჩვენს დღევანდელ ბობოლა და უზარ-მაზარ სადგილ-მამულო ბანკს, რომლის მარტო წმინდა მოგება ნახევარ მილიონს უდრის ხოლმე წელიწადში, საძირკველი ჩაუყარა და ძირის ფული შეიტანა მთავრობამ.

160,000 მან. მთავრობამ დროებით მოგვცა, გვასესხა, ვიდრე ბანკი ფეხს მოიკიდებდა, ხოლო

ასის წლის თვით-არსებობის მოსპობის თავი რომ ვიდღესასწაულეთ, გვაჩუქეს ეგ ფული სრულს საკუთრებად იმავე, აწ განსვენებულის დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოზის ძის წყალობითა და შეოხებით.

ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს ქართლ-კახეთის კეთილშობილ წოდების მარშლად ბრძანდებოდა დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი. დიმიტრი სულ ადვილად მიხვდა, რაკი მოწინავე წოდებას ყმა ჩამოერთვა—ეს ერთად ერთი წყარო და ნოეს კიდობანი ქართველ თავად-აზნაურობის კეთილ დღეობისა და არსებობისა, თავად-აზნაურობა დაიღუპება, უკეთუ უნარს ვერ გამოიჩენს და საერთო ძალ-ღონით არ შეებრძოლება ცხოვრების სიდუხჭირესა. თვითონ დიმიტრიმ იკისრა მოთავეობა და ურჩია თავად-აზნაურობას—ჩამოვიდეთ ცოტას რასმე ნაწყალობევ ფულიდან და დავაარსოთ ბანკი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ჩვენის მეურნეობის აყვავებასო. აყვავებული მეურნეობა გახდება ჩვენის ცხოვრების დაუშრეტელ წყაროდ და გვექნება პური არსობისაო.

სიცილად არ ეყო ეს მოწოდება ბობოლა თავადებს. ბანკი რას მიქვიან, ხელში ვინ აიღებს ეგ რაღაც გირავნობის ფურცლებიო. ხოლო წვრილფეხა თავად-აზნაურობა სიამოვნებით გაჰყვა საყვარელ მარშლის მოწოდებას და გამოიღო ბანკის დასაარსებლად 80,000 მანათი.

მესამე შემთხვევა დღესაა. ამერ-იმერ თავად-აზნაურობას ერგება თითქმის შვიდ მილიონ ნახევარი მანათი (7.362,010 მ.) აქედან იმერლებს—2.144,146 მ., ხოლო ამერლებს—4.917,864 მ.

ამ ჟამად ბევრნი ბჭობენ—თუ როგორ გამოვიყენოთ ეს აუარებელი ქონებაო. ფრიად საჭიროა, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილს გზას დავადგებოდეთ, გავცხრილოთ ზემოდ მოყვანილი ციფირები და გავიგოთ დანამდვილებით, თუ რა თანხა იქნება ქართველის კაცის ხელში; იმ კაცის ხელში, რომელსაც ნამდვილად გული შესტკივა ჩვენის საერთო, საზოგადო და საქვეყნო საქმისათვის და რომელიც თავის წვლილს არ დაიშურებს.

იმერეთს რომ თავი დავანებოთ, სადაც თავად-აზნაური მხოლოდ ქართველობაა და სხვა თესლის კეთილშობილი სულ არ არის, აი ქართლ-კახეთი რა სურათს წარმოადგენს.

ჯავახეთს ერგება იმ ფულიდან, რომელიც თბილისის გუბერნიისთვისაა გადადებული (4.917,864 მ.) 1.119,559 მანათი. ეს კუთხე მოწყვეტილია ქართლ-კახეთზე და ჩვენთან საერთო ჭაპანს დიდი ხანია აღარ ეწევა. მთელს ჯავახეთში მარტო სამი გვარია ქართველ თავად-აზნაურისა: აწ განსვენებული დიმიტრი და ძმა მისი გიორგი მუსხელიშვილები; ი. ი. ორბელიანი და ქანანოვები (სარწმუნოებით გრიგორიანი). ბ-ნი გ. გ. ქანანოვი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევის დროს ა. ხატისოვის დასტაში მოექცა. საფიქრებელია, რომ ასეთის აზრის მქონე აზნაური ზურგს მოგვაქცევს და ჩვენთან ერთად ჭაპანს არ გასწევს. ჯავახეთის დანარჩენი მამულის პატრონნი სულ მოწყვეტილნი არიან ჩვენზედ. აბა რა გვაქვს საერთო კოკიის ალალარ ქამალოვებთან, სალამოს—ჰასანოვებთან, ხიზაბავრის და კოტელიის მუტაფოვებთან, ვართანოვებთან და ფეიზულა ბეგის მემკვიდრეებთან; მამუკ-ალის ბაიბურთელის მემკვიდრეებთან და სხვებთან?

მესხეთს ერგება—1.085,252 მანათი. აქაც ის ამბავია, რაც ჯავახეთში. ქართველი აზნაური ორი გვარია იგივე მუსხელაანი და ორბელიანი. მართალია, ქართველი ბეგობა არის, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მათთანაც დიდი ხანია კავშირი გავსწყვიტეთ. ბევრმა ქართული აღარ იცის და დიდი ხანია გადაეჩვივნენ იგინი ჩვენთან საერთო საქმის გაძღოლას. თუ ჩვენიანებად მიგვაჩნია იგინი, აქამდისინ უნდა მივსულიყავით და არა იმ დროს, როცა ფულის გამოღებაზე მიდგება საქმე. ქალები აღსაზრდელად ბაქოში მიჰყავთ, ტაგიევის სკოლაში, და არა თბილისში. სათქმელი ესეცაა—სადა გვაქვს ჩვენ ეროვნული სკოლა, რომ მათი შვილები იქ გავზარდოთ და იქ მოჩიტულნი, დაქალებულ-დავაჟკაცებულნი დავატრიალოთ ცხოვრებაში!

ბორჩალოს ერგება—353,868 მანათი. აქაურმა ქართველმა თავად-აზნაურობამ დიდი-ხანია დაახსნევინა თავი გლეხკაცობას და მაშასადამე დღეს ქართველობა ბორჩალოსი ვერარაფერს მიიღებს. რაც ერგებოდათ, უკვე მიღებულია და დახარჯული. შეიძლება დარჩა ერთი, ან ორი კაცი, მაგრამ იგინი სიმცირისა გამო სათვალავში არაა მისაღები.

თბილისის მაზრას ერგება 572,259 მ. ეს ფული თითქმის განახევრდება, რადგან თბილისის მაზრაში ნახევარზე მეტი აზნაურობა უცხო ტომისაა და ჩვენს საერთო ქართულ საქმეს ხელს არ შეუწყობს. ანგარიშის დროს, როცა ჩოთქს გავათამაშებთ, ოცნებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ამ ცხრილიდან სჩანს, რომ საიმედოა მხოლოდ გორისა, დუშეთისა, თიანეთისა, თელავისა, სიღნაღისა და თბილისის მაზრის ნახევარი. ამათი თანხა სულ დაიჭერს— 2.165,085 მან. აი ამ ფულის

იმედი უნდა გვქონდეს და არა ხუთის მილიონისა, როგორც ზოგიერთნი ანგარიშობენ. თუ იმერ თავად აზნაურობის თანხასაც მივუმატებთ, მაშინ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ დაახლოვებით ჩვენის ერის მაღალი წოდება მიიღებს ესე ოთხს, ან ოთხნახევარ მილიონს.

თუ უნარს გამოვიჩენთ, არც ეს თანხაა მცირე. მარტო მეათედს რომ ჩამოვიდნენ, მაშინაც თითქმის ნახევარი მილიონი შესდგება. ეს ისეთი დიდი თანხაა, რომ სულ ადვილად ჩაეყრება საძირკველი საშვილიშვილო საქმეს. საჭიროა მხოლოდ რომ სათავეში მოექცეს ამ საქმეს მხნე, უნარიანი კაცი, სპეტაკი გულის პატრონი და შემოსილი საზოგადოების სიყვარულით და ნდობით.

სამწუხარო ისაა, რომ ბევრს განათლებულ ქართველს, თავად-აზნაურობის წრიდან გამოსულს, რომელსაც გულწრფელად შეეძლო ქადაგება—გამოვიღოთ საერთო საქმისათვის ფული, სანადელო ფულიდან არარაფერი ერგებათ, რადგან მათ მამა-პაპათ უკვე დაიხსნევინეს თავი გლეხებს. მითქმა-მოთქმის ასაცილებლად, ეგენიც რომ ჩამოვიდოდნენ თავიანთ ხვედრს, ფრიად კარგი იქნებოდა, თორემ ჩვენი ხასიათი რომ ვიცი, ბევრი იტყვის: ყველაზე მეტს ეგენი ყვირიან და კაპეიკს კი არ ჩამოდიანო...

ა.—ლი.

ციხე დარბაზის გასაღები

მოთხრობა ჰენრი ვან-დაიკისა

და მიუახლოვდა ციხე-დარბაზს პირველი რაინდი, სახელი რომლისა იყო—**დევ-გმირი.** საცა კი ის გაჩნდებოდა, ყოველგან სტოვებდა კვალს გატიალებისას და აოხრებისას. კარი დარბაზისა დაკეტილი აღმოჩნდა. დილა იყო ადრიანი, ტყე ჯერეთ სთვლემდა, განთიადის ბინდ-ბუნდი გამეფებული იყო გარშემო. მხოლოდ დილის ნიავი აფრიალებდა კოშკზედ ამართულ ალამს. ბედნიერი წამია გაბედულის განძრახვისთვის—ძალით ციხე-დარბაზის აღებისათვის—ფიქრობდა რაინდი.

ხელები წაავლო კარებს და მძლავრად შეარყია, მაგრამ კარი არ გაიღო. მაშინ იმან სცადა თავისი მძლავრი მხარი, მაგრამ კარმა მხოლოდ დაიჭრიალა. აქ კი რაინდი, ბრაზ-მორეული მივარდა კარებს თავისის რკინის კეტით და მაღალის ღრიალით აცხადებდა ისეთს უსიამოვნობას, თითქო ვაჟბატონი ყოფილიყვეს, რომელსაც საკუთარი სახლის კარი დახვდა დაკეტილი.

ღონე მიხდილი რაინდი ლანძღვა გინებით იოხებდა თავის აღშფოთებას. უცებ მოესმა ნაზი, მხიარული, დამცინავი სიმღერის ხმა. [illegible] ჩქარა და გაიგონა:

„ტყიდამ ისმის ქარის ქროლა,
მეცინება თბილ ლოგინში
ძლიერია იგი ქროლა; გულცივი და ონავარი.
ნეტა რა გსურს, ქარიშხალო, ჩემი კარის
ბრაგა-ბრუგში?“

— ქარი კი არა! რაინდი ვარ მე, რაინდი მძლავრი! შეჰყვირა იმან საპასუხოდ ტკბილის ხმისა. მე უნდა შემოვიდე შენთან და უთუოდ ამავ წამში!

წკრიალა ხმამ უპასუხა:

აბრახუნე, რამდენიც გსურს;
კარი ჩემის დარბაზისა არ გაიღების შენთვისა.
ყოველ შენს დამუქრებასა მე დავცინი, მეცინება;
ჩუ, ტყეში ისმის გრიალი აშფოთებულის ქარისა.

დიდხანს იბრძოლა რაინდმა, მაგრამ ვერ შესძრა მუხის კარები და ბოლოს, გაანჩხლებულმა, დაღალულმა და ნუგეშ მიხდილმა მიანება აუღებელ ციხე-დარბაზს თავი.

— უეჭველია, ციხეში ბუდობს თვით ალქაჯი, სთქვა იმან გაჯავრებით და გაბრუნდა.

შუა დღე იყო, როდესაც ციხე-დარბაზს მოადგა მეორე რაინდი. სახელი მისი იყო **ტკბილმოზაასე.** იმან დაიწყო წყნარის მშვიდის ხმით, ნარნარის მიმოხვრით; მაგრამ გული იმისი იყო ცივი და კილო სიწრფელეს მოკლებული. იმან ცხენი ყალყზედ შეაყენა, თითონ ზედ შესდგა და შეიხედა ციხის სარკმელში.

— მშვიდობა, მშვენიერო ციხე-დარბაზო, რა დიდებული ხარ, რა გვარ გიალერსებს მზე თვისის სხივებით! უთუოდ აქ სცხოვრობს საკვირველება რამ ბუნებისა, მზეთ-უნახავი, რომელმაც წარიტაცა გული ჩემი. ოჰ, გამოიხედე და დაინახე მონა შენი.

ერთ-ერთი ფანჯარა გაიღო და სარკმელში გამოდგა სქელ რიდე ჩამოფარებული ასული. მშვენიერ ბეჭდებით ასხმულ ხელში ეჭირა მას გასაღები.

— გასაოცარი სიმდიდრის და მშვენიერების ღმერთავ—შეჰყვირა **ტკბილად მეტყველმა**—მშვენიერების მნათობო, ლამაზთა მეფევ, გადმომიგდე ეგ გასაღები.

— მერე?—ჰკითხა ქალმა.

— ოჰ, მერე—უპასუხა რაინდმა, მე გავალებ კარებს, ამოვფრინდები შენთან და ბედნიერების ფრთებზედ...

მაგრამ მანამ რაინდი გაათავებდა თავის ტკბილ სიტყვებს, ფანჯარა მოიხურა და მშვენიერება მიეფარა.

სამი საათი მეტი იდგა რაინდი სასახლის წინ და განუწყვეტლად შეაქებდა ლექსათ თუ პროზათ უცხო დარბაზის მფლობელსა, მაგრამ ირგვლივ სიჩუმე მეფობდა და იმედ გადაწყვეტილი რაინდი გაბრუნდა.

მზის ჩასვლისა დროს ციხე-დარბაზს მიუახლოვდა მესამე რაინდი, სახელი რომლისაც იყო **მსახური პატიოსნებისა.** მწვავი შუა დღე შესცვალა მზის გადასვლის სიგრილემ და ფრინველნი აახმაურა საღამოს ჟამის სადიდებელად. სურნელება ყვავილთა ავსებდა სრა-სასახლის გარს შემორტყმულ ბაღს და ბინდ-ბუნდი უახლოვდებოდა გარშემო მდებარე ტყეებს.

რაინდს ნათლად ედგა თვალ წინ, ყველა ფანჯრებ გაღებული სასახლე და აქ, თავის წინ, მწვანეზედ დავიწყებული თავსაბურველი ციხე დარბაზის მფლობელისა.

ის რამდენსამე ხანს შესცქეროდა სასახლეს და ელოდა, ფიქრობდა და გაოცებას ეძლეოდა; მერე ჩამოხტა ცხენიდგან, მოხსნა უნაგირი, აღვირი წაჰყარა და გაუშვა მწვანეზედ. თითონ კი წამოწვა ამაღლებულ ფერდობზედ სასახლის მოახლოებით და თითქოს აპირებდა აქ დიდი ხნითა განსვენებასა.

როდესაც ჩავიდა მზე, როდესაც გრძელი ჩრდილები წარმოადგნენ არე მარეს, ტყიდგან გამოვიდა ქალი და მიაშურა თავის სასახლეს. გზა და გზა ის ნელა ნელა მღეროდა, სახე ახდილი ჰქონდა; იმის ოქროს ზგავსი კულულები, დასავლეთის მხრით ცაზედ გაშლილ ღრუბლებსავით, ბზინავდნენ. როდესაც რაინდმა დაინახა მშვენიერი, ფეხზედ წამოხტა და გასახტებული შესცქეროდა, იმას ძალა არ ჰქონდა თვალი მოეშორებინა ქალისთვის და ეს ახტაცება ისეთის სიძლიერით გამოიხატა რაინდის სახეზედ, რომ არავითარი სიტყვით გამოხატვას არ საჭიროებდა.

ასე, დიდხანს იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ და თვალს ვერ აშორებნენ ერთმანეთს, ბოლოს ქალმა გაიშვირა ხელი, რომელშიაც გასაღები ეჭირა და სთქვა:

— რას უზამდი ამ გასაღებს, რომ შენთვის მოგეცა?

— ეგ გასაღები შენის სასახლისაა? ჰკითხა რაინდმა.

— დიახ, მიუგო ქალმა.

— მე დაგიბრუნებდი შენ და მოვიცდიდი იქამდე, სანამ შენ თითონ არ გამიღებდი კარებს.

— კარი ღიაა შენთვის, — მიუგო მშვენიერმა.

ეკ. გაბაშვილისა.

კვირიდან—კვირამდე

რეიმონდ პუანკარე

საფრანგეთის რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი რეიმონდ პუანკარე დაიბადა 20 მარიამობას 1866 წ. იურიდიული სწავლა-განათლების მიღების შემდეგ, იგი ჩაეწერა პარიზის ვექილთა წოდებაში. ეს იყო 1880 წელს. თითქმის აქედანვე იწყობა მისი საზოგადო მოღვაწეობაც. როგორც სხვა ფრანგ სახელმწიფო მოღვაწემ, პუანკარემაც თავისი კარიერა ჟურნალისტობით დაიწყო. რამდენიმე წელიწადი „Voltair"-ში თანამშრომლობდა. 1886 წელს უკვე სამიწად-მოქმედო მინისტრის კაბინეტის დირექტორად იქმნა მიწვეული. 1887 წელს არჩეულ იქმნა დეპუტატად სადეპუტატო პალატაში არა ერთხელ ყოფილა ბიუდჟეტის მომხსენებლად. შარლ დიუპუიმ იგი ორჯელ მიიწვია თავის კაბინეტში—პირველად სწავლა-განათლების მინისტრად, მეორედ—ფინანსებისა. რიბოს კაბინეტშიაც პუანკარეს სწავლა განათლების მინისტრის პორტფელი ებარა. 1903 წელს სენატორად იქმნა არჩეული. 1906 წ. სარიენის კაბინეტში ფინანსთა მინისტრად იყო. 1909 წელს იგი არჩეულ იქმნა საფრანგეთის აკადემიის წევრად და უკანასკნელ დროს იგი ითვლებოდა მინისტრ-პრეზიდენტად და გარეშე საქმეთა მინისტრად.

რას მოასწავებს პუანკარეს არჩევანი?

პუანკარეს არჩევანი, პრესის აზრით უპირველესად ყოვლისა პრეზიდენტის უფლების გაძლიერებას მოასწავებს. პუანკარეს არჩევით, რასაკვირველია, გაიმარჯვეს რესპუბლიკელებმა, მაგრამ მთავარი მნიშვნელობა იმასა აქვს, რომ პუანკარე მომხრეა პრეზიდენტის აქტიურ მოქმედებისა. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტებს აქამდის მხოლოდ წარმომადგენელობითი როლი ჰქონდათ მითვისებული და სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ეს გამომდინარეობდა თვით კონსტიტუციის შინაარსიდან. რესპუბლიკის პრეზიდენტებად აქამდის ირჩევდნენ სენატის თავმჯდომარეთ, რომლებიც ძალიან შორს იდგნენ აქტიურ პოლიტიკისაგან. ასეთები იყვნენ ყველა პრეზიდენტები კაზიმირ პე-

რიეს გარდა, რომელიც პრეზიდენტობდა სადი კარნოს შემდეგ. საფრანგეთის ბურჟუაზია იქამდის იყო შეშინებული სადი კარნოს მოკვლით, რომ ხსნას იგი მხოლოდ ძლიერ პიროვნებაში და მთავრობის სიმაგრეში ხედავდა, მაგრამ ვერც კაზიმირ პერიემ მოახერხა საკუთარ პოლიტიკის წარმოება; იგი დამარცხდა და იძულებული იყო რამდენიმე თვის შემდეგ ხელი აღო პრეზიდენტობაზედ მას შემდეგ პუანკარე პირველი პრეზიდენტი იქნება, რომელსაც ისე უცქერის საფრანგეთი, როგორც საკუთარ პოლიტიკის მაწარმოებელ პრეზიდენტს. ძნელია სათქმელად, მოახერხებს, თუ არა პუანკარე ამას, ან კიდევ დიდ ხანს იქმნებ. საფრანგეთის საოზგადოებრივი აზრი მომხრე „პრეზიდენტთა საკუთარ პოლიტიკისა". პრეზიდენტის უფლების გაძლიერება და აქტიური პოლიტიკა თუ საჭიროა ხანდახან, სამაგიეროდ იგი მოლიპული გზა არის რესპუბლიკის იდეისთვის და ვინც იცის საფრანგეთის ისტორია წარსულ საუკუნისა, მისთვის აშკარაა, თუ რად იდგნენ პრეზიდენტები აქტიურ პოლიტიკის გარეშე. გაძლიერებული უფლება ერთის ადამიანის ხელში და ისიც ისეთ სახელმწიფოში როგორც საფრანგეთია, შეიძლება საბაბად გადიქცეს დაუსრულებელ შინაურ ამბოხებისა და ერთ მშვენიერ დღეს პრეზიდენტის გაძლიერებული უფლება და საკუთარი პოლიტიკა ლოლიკის ძალით შეიძლება ერთმთავრობის გაძლიერებულ უფლებათ და ერთ ადამიანის საკუთარ პოლიტიკად იქცეს. Coup d' état. რომელიც ასე ხშირად ახსოვს საფრანგეთს, ადვილად წამოაყოფინებს თავს ვინმე ჰენიოს ავანტურისტს და „იმპერატორი ფრანგებისა" ან „მეფე საფრანგეთისა" სულ ადვილი საქმე ღა იქმნება.

ირლანდიის ჰომრული

ჰომრულის მესამეთ წიკითხვამ ქვედა პალატაში დიდი კამათი გამოიწვია. ირლანდიის წინამძღოლმა რედმონდმა სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც მადლობა უძღვნა ინგლისის ერს თავისუფლების ხარტიის ბოძებისათვის. მერე რედმონდი კონსერვატორებს მიუბრუნდა და უთხრა:

„თქვენი პოლიტიკა მუდამ და ყველგან ის იყო, რომ ხალხს უნდობლობას უცხადებდით. თქვენ იბრძოდით საარჩევნო უფლების გაფართოვების წინააღმდეგ ინგლისში, კანადის განთავისუფლების და აფრიკის კოლონიების და მოუკიდებლობის წინააღმდეგ. ირლანდიის განთავისუფლება მიუხედავად თქვენის წინააღმდეგობისა სიხარულით იქმნა მიღებული ავსტრალიისაგან, კანადისგან და მასთანვე დიდებულ ხალხის მიერ, რომელიც მოსახლეობს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში; რაც შეეხება ლორდებს, ისინი დაკრეჭავენ კბილებს, მაგრამ კბენას კი ვერ გაბედავენ"!

"იმერეთის" ხმა

გაზეთ „იმერეთში" ბ. სვიმონ ქვარიანი ფრიად საინტერესო საკითხსა სძრავს იმის შესახებ, თუ რას უნდა მოხმარდეს ის თანხა, რომლის შეგროვებაც შეიძლება „სანადელო" ფულიდან. იგი ურჩევს თავად-აზნაურობას **საერო ბანკების** დაარსებას, რომელთაც განსაზღვრული დანიშნულება ექნებათ; სახელდობრ: სასოფლო-მეურნეობის აღორძინება და ქართველ გლეხთა გადასახლება მიწა-მცირე დგილებიდან უფრო ხელ-საყრელ ადგილებში:

„უმიწობით შევიწროვებული რაჭველები, ამბობს ბ. ქვარიანი, ასობით და ათასობით ესახლება ოსეთისკენ კავკასიონის მთების გადაღმა. ამ დროს კი საქართველოს მიწა-მამულზე ფეხს იკიდებენ უცხოელები. ამგვარი მოვლენა ანორმალურია და ფრიად მავნე ქართველი ერისათვის.

ჩვენისთანა დაჩაგრულ ერებს აქვთ ორგანიზაცია, კომიტეტები, რომელნიც ზრუნავენ მიწების შეძენაზე და თავისი ხალხის დასახლებაზე. ისინი მედგრად ებრძვიან ბიუროკრატიის გამხრწნელ პოლიტიკას და ცნობიერად ემსახურებიან თავის ეროვნულ ინტერესებს...

„დღეს თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო კვნესის უმიწობით, დღეს სახელმწიფო-საგლეხო და საოზნაურო ბანკები გვაცლიან ხელიდან ათიათას და ასათას ქცეობით მიწებს, დღეს ჩვენს მიწა-მამულზე, საქართველოს ტერიტორიაზე ასახლებენ ასიათასობით რუსეთიდან და სომხეთიდან გადმოსულთ, მთელი ქართველი ერის კეთილდღეობა და მომავალი ვარდება დიდ განსაცდელში, ქართველ ერს მოელის საშინელი მარცხი, მიწის, ნიადაგის ფეხიდან გამოცლა, და სწორედ დღეს ყველაზედ უფრო გვეჭირვება დამსახლებელი კომიტეტის და საერო ბანკის დაარსება, რომელთა სოლიდარული მოქმედება იქნება მიმართული ქართველი ერის გასამტკიცებლად საქართველოს ტერიტორიაზე და ქართველ გლეხთათვის მიწა-მამულის შეძენაზე.

ეს იქნება ფრიად დიდი, დიდებული საქმე, რომელსაც ქართველი ერის თავად-აზნ. და ინ-

ტელიგენციის საუკეთესო ნაწილი შეჰქმნას ამ საუკუნეში“.

არ ვიცით, რამდენად შეიძლება „სანადელო“ ფული გამოადგეს ასეთ დიდმნიშვნელოვან საქმეს, მაგრამ გულწრფელად ვუერთდებით ასეთი ბანკის თუ სხვა დაწესებულების იდეას; მით უფრო, რომ ჩვენი უპირველესი მიზანი იყო თავიდგანვე—ეროვნული საქმეების სისტემატიზაცია და ეროვნულ ძალთა კოორდინაცია (შეთანხმება) ერთი მიზნისათვის.

ყველა ჩვენი დაწესებულება, საზოგადოება, თუ ეკონომიური ორგანიზაცია უნდა განიმსჭვალოს ერთი ეროვნული აზრით, რომ განამტკიცოს და გააძლიეროს ჩვენი ეროვნული ეკონომიური და სულიერი ძალები, უნდა ერთგვარი ეროვნული პოლიტიკური გეგმა შემუშავდეს, რომელსაც შეუფარდოთ გაბნეული მოქმედება ცალკე საკულტურო საეკონომიო ძალთა, თუ არ გვინდა გადავგვარდეთ და ავითქვიფნეთ უცხო ეროვნებათა შორის.

მოწინავე საზოგადოებამ ეს უკვე შეიგნო დიდი ხანია, და უკანასკნელ დროს უფრო და უფრო ხშირად გაისმის ყველგან შეთანხმების, სისტემატიური მოქმედების სურვილი.

აქა-იქ არა მარტო მზადდება ნიადაგი, პირდაპირ კულტურულ საქმესაც შესდგომიან—და ეს საუკეთესო ნიშნებია ეროვნული ძილისაგან გამოღვიძებისა.

მართალია, ჯერ კიდევ ბევრია ჩვენში კერძოობითი კინკლაობა და ძალთა დაქსაქსვა, მაგრამ დროა, პატიოსან მუშაკებმა ხელი-ხელს მისცენ და საერთო საქმისათვის, საერთო მიზნისათვის შეკავშირდნენ და შეიმუშაონ ფართო პროგრამმა ეროვნული მოქმედებისა.



ნაპერწკლები.

გაზეთ თემის № 105 გვატყობინებს: 80 წლის მოხუცი, ჩვენი სასიქადულო მგოსანი აკაკი იწვევს სამედიატორო სამართალში ცნობილ ქართველ პუბლიცისტს არჩილ ჯორჯაძეს.

იქვე, ცოტა ქვევით, თვით „თემის“ რედაქტორი გ. დიასამიძე იწვევს იმავე სამართალში ცნობილ ქართულ მოღვაწეს—ისტორიკოსს ბ. ექვთიმე თაყაიშვილს.

თვალებს ვიფშვნეტდი... არ მჯეროდა. ვფიქრობდი: შევცდი და წაკითხული ვერ გავიგე მეთქი.

იქნება მოხუცი აკაკი სალამს უძღვნის თავის მოძმე მწერალს ა. ჯორჯაძეს, ან „ეგზეტიოსანი“ და დარბაისელი ექვთიმე თაყაიშვილი არიგებს ჭკუას გ. დიასამიძეს? გადავიკითხე... და წარმოიდგინეთ, მართალი იყო: აკაკი წერეთელი, არჩილ ჯორჯაძე, ექვთიმე თაყაიშვილი სასამართლოში მიდიოდნენ, წინ მიუძღოდა „წმინდა ვიტის“ ცეკვით „თემი“ს რედაქტორი გრიგოლ დიასამიძე და მოსთქვამდა:

ერთმანეთსა გადაგკიდეთ, ჰარი ჰარალე; წაგჩხუბეთ და ფეხი მოგდეთ? ჰარი ჰარალე; ხა! ხა! ხა! ხი! ხი! ხი! ძირს დიდებულება, ჭკვა, სიყვარული, ძმობა, ერთობა!—

ვაშა ტყუილსა, ცილის წამებას!
ვაშა გარყვნასა, შეშლილობასა!
კაი დრო დაუდგა ჩემს მეფობასა.
ჩემო „თემი“ს ტირაჟო, ტირაჟო
გასწი, გასწი, წინ, წინ, წინ!

—

„სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა მეორე „შესანიშნავი“ წერილი ცნობილ „იმ.-ამ.“ -ისა, რომელიც ჩნდება ხოლმე მაშინ, როცა ქართველი თავად-აზნაურობა მარშლის არჩევას აპირობს, რომ ამითი ერთხელ კიდევ დაუმტკიცოს ქართველ დემოკრატიას, რომ „სახალხოელებს“ ქართველ თავად-აზნაურთა საქმეები არ აინტერესებთ. ამ წერილების შინაარსი იწყობა იქიდამ, რომ ბ. იმ.-ამი გაშმაგებული უმტკიცებს თავის მკითხველებს, რომ კახეთის რკინის გზის დამოუკიდებლობის მედგარი დამცველი გ. ბაგრატიონი, მარშლად არ ვარგა—დემოკრატი არ არისო; მისტირის ყოფილ მარშალის „საშიკო“ ორბელიანის დემოკრატიზმს და ათავებს იმით, რომ დაუფარავ სიხარულით ხელს უწყობს მის გვარივე „დემოკრატების“ არჩევას— სუმბათაშვილისას და თუ დღეს, 13 იანვარს, ქართველ თავად-აზნაურობას ღმერთი გაუღიმებს, მეორე არა ნაკლებ ცნობილ „დემოკრატს“, კახეთის რკინის გზის გამყიდველს, პავლე თუმანიშვილს მარშლად ვნახავთ.

ეს იქნება „სახალხო გაზეთის„ იმამების მოღვაწეობის შედეგი.

მაგრამ დარწმუნებულნი ვართ ,მაშინაც „სახალხო გაზეთი“, ცილინდრით და ფრაკით გამოწყობილი, ავტორიტეტიურად გადმოგვძახებს: „აკი მე ვამბობდი, რომ ეს ასე მოხდებოდა და კახეთის რკინის გზა დაილუპებოდაო!“

— აი, უფრაკო ხალხი უფრო გულწრფელად და მარტივადა სჯის... თუ მე არ ვიცი რა ვთქვაო ამა და ამ საგანზედაო, კარლო მარქსს შევეკითხებიო. მაგალითად გაზ. „მერცხლის“ მესვეურებს არ სცოდნიათ, რა უფრო სარგებლობას მოუტანს ქართველ ხალხს: დამოუკიდებელი, ქართველობის ხელში მყოფი კახეთის რკინის გზა, თუ შეერთებული ტაგისიანცების და მანთაშევების სიღნაღ ბაქოს გზასთან. შეეკითხნენ მარქსს. საიქიოდამ მოუვიდათ ბრძანებიანი პასუხი: „ქართველო სოციალისტნო! გავალებთ რო, გაუღოთ საქართველოს კარები სომხის კაპიტალს და მათ პროლეტარიატს შეერთება სჯობია განცალკევებას... განა არ წაგიკითხავთ ჩემი „კაპიტალი!!?“

—

მაგრამ თუ „ჩვენს“ სოციალ-დემოკრატიას კ. მარქსის „კაპიტალი“ ჯერ ვერ შეუთვისებია, ახალ გაზეთ „ჩვენ დროებას“ უმარქსოდაც გაუგია რა სასიამოვნო სუნი უდის სომხის კაპიტალს. ამ სუნმა ისე ულიტინა „ჩვენ დროებას“ ცხვირის ნესტოში, რომ დღევანდლამდის ხსენებული „გოთუელი“ გაზეთი სომხების ქება-დიდებაში იმყოფება. მოიწვია ახალი თანამშრომლები: ცნობილი ქართველობის „მოტრფიალე“ ა. ხატისიანცი, ტაგისიანცი... და ეხლა მათ დახმარებით შეუდგა სომხის ავტონომიის საკითხის გამოკვლევას და „სოლიდარობის“ ჩონგურსა მართავს: გვიკვირს რატომ ჰბეჭდავს გაზეთს ქართულ ასოებით... სომხურად უფრო მოუხდება... ქართველობა შეცდომაში რად შეჰყავს?

—

შეცდომებით სავსეა ჩვენი ცხოვრება. პატივცემული ე. თაყაიშვილი უპასუხებს „შემცდარ“ „თემის“ რედაქტორს: „თქვენ“ დაბეჭდილ ცნობაში ერთი თვალსაჩინო შეცდომა იყო: მე [illegible] — На предпослѣднемъ общемъ собраніи (რომელზედაც იყო არჩეული პ. თუმანიშვილი ისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების მზრუნველ წევრად) თქვენს გაზეთში კი იყო თარგმნილი ასე: „უკანასკნელ საზოგადო კრებაზედ...“ სჩანს როცა გრიგოლ დიასამიძე სთარგმნიდა ხსენებულ ფრაზას ქართულად, სალოკ თითს „შემთხვევით“ დაუფარავს თავსართი пред....

შეცდომები ვის არ მოსდის.

—

აი „სახალხო გაზეთმა“ 6 იანვრის საკვირაო ნომერში დაბეჭდა „კლდის“ სურათები და მის თანამშრომლის „ინ—სან.-ის“ წერილი „საისტორიო-საზოგადობის მოღვაწეობის მიმოხილვა“ და, წარმოიდგინეთ, სახელიც მოაწერა: „ინ—სან“ და არსად კი არ აღნიშნა რომ ეს სურათები და სტატია „კლდიდამ“ გადმოღებულიაო...

მაგრამ ამ შეცდომას არც ძალიან ვუსაყვედურებთ ჩვენს კოლლეგებს...

ასოთ ამწყობი გუნებაზედ ვერ იქნებოდა. ხანდისხან „სტრელოჩნიკებიც“ დამნაშავენი არიან.

ეკალი.

ორიოდე სიტყვა საკრედიტო ამხანაგობათა გამგეობებს.

გავიდა საოპერაციო წელიწადი. დადგა დრო ანგარიშების შეთავებისა და საერთო კრების მოწვევისა, რომელმაც უნდა გაანაწილოს წლიური მოგება ამხანაგობისა. საკრედიტო ამხანაგობათა წესდების მე-80-ე მუხლის ძალით წმინდა მოგება ამხანაგობისა ასე უნდა განაწილდეს: 40%-ზე არა ნაკლები უნდა გადაიდოს საკუთარ თანხის დასაარსებლად, არა ნაკლებ 20% უნდა გადაირიცხოს სათადარიგო თანხაში, ხოლო დანარჩენი ნაწილი წმინდა მოგებისა ხმარდება რაიმე სასარგებლო საქმეს, რომელსაც ამხანაგობის საერთო კრება სცნობს საჭიროდ. მაგრამ რა საქმე უფრო სასარგებლოა და რა უფრო შეუწყობს ხელს ამხანაგობის დამკვიდრებას? აი საკითხი, რომლის შესახებაც მე მსურს ვესაუბრო ამხანაგობის მეთაურთ.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროდ ვსთვლი მოვაგონო პატივცემულ ამხანაგობათა ხელმძღვანელთ, რომ საზოგადოთ ყოველი კოოპერატივი მკვიდრია მაშინ, როცა მისი წევრნი შეგნებულნი არიან და რაც უფრო მეტი შეგნებაა წევრთა შორის, იმდენად უზრუნველ-ყოფილია მათი კოოპერატივის არსებობა. მაშასადამე უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს წევრთა შეგნებას და განვითარებას ვამოჩენილი ინგლისელი კოოპერატორი ჯორჯი ხოლიოკი ამბობს: „...ვერც ერთი საქმე ვერ მოუტანს კოოპერატივს იმდენს სარგებლობას, რამდენის მო-

ტანაც შეუძლიან წევრთა განსავითარებლად და გონივრულად ასამაღლებლად გაწეულს ხარჯს.“ ამას იძახის როჩდელელ ფეიქრების მომხმარებელ საზოგადოების ისტორიკოსი ინგლისელ კოოპერატივების შესახებ, რას იტყოდა და რას ურჩევდა ჩვენს კოოპერატივებს, რომლების წევრთა $^{99}/_{100}$ ნაწილმა უბრალო ხელის მოწერა არც კი იცის. ცხადია, ჩვენმა კოოპერატივებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას; არავითარი საშუალება არ უნდა დაზოგონ და არ უნდა მოერიდნენ ხარჯს წევრთა განსავითარებლად და მათში კოოპერატიულ იდეის გასავრცელებლად. საჭიროა საკრედიტო ამხანაგობებმა წმინდა მოგების იმ ნაწილით, რომელიც გადარჩება ზემოდ ჩამოთვლილ საკუთარს და სათადარიგო თანხებს, დახმარება გაუწიონ მათ რაიონში არსებულს სკოლებს და სამკითხველოებს, წიგნების შეძენით და ჟურნალ-გაზეთების გამოწერით. გარდა ამისა, საჭიროა მოეწყოს საუბრები და კითხვები. თუ ამხანაგობათა მოთავენი შეასრულებენ ამ მოვალეობას, ეს იქნება უტყუარი თავდები იმისა, რომ კოოპერატივს მკვიდრი საფუძველი ექნება ჩაყრილი და მათ მიერ გაწეული შრომაც უქმად არ ჩაივლის.

ა. ნაავდარაანთკარელი.

კოოპერატიული ქრონიკა

— გუმბრის მაზრის სოფელ **ნიკიტინოში** გადმოსახლებული რუსი – სექტანტები აარსებენ კოოპერატიულს კარაქის და ყველის საკეთებელს ქარხანას. ქარხნისთვის საჭირო სადგომის ასაშენებლად და იარაღ-მანქანების შესაძენ **თანხას, 3,000 მანეთს, სესხად სთხოვენ მთავრობას.**

— საკრედიტო შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობათა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ბაკუმში **თავართქილაძის სტამბაში** დამზადებულია საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისათვის საჭირო საანგარიშო წიგნები წვრილი კრედიტის სამმართველოს მიერ შემუშავებულის ფორმისა. წიგნები რუსულ ქართულია. მიუხედავად ამისა, ეს წიგნები გაცილებით იაფადა ღირს, ვიდრე თბილისში ლიბერმანის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები მხოლოდ რუსულს ენაზე. რუსულ-ქართული წიგნების წარმოება საშუალებას მისცემს საკრედიტო კოოპერატივების გამგეობის და საბჭოს წევრებს, რომლის მომეტებული ნაწილი რუსულ წერა-კითხვის უცოდინარია, — ჯეროვანი კონტროლი გაუწიონ დაქირავებულს მოანგარიშეს და მით აიცდინონ თავიდან უსიამოვნო შედეგები. ამასთანავე საჭიროდ ვსცნობთ აღვნიშნოთ რომ თელავის და გურჯაანის შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ წვრილი კრედიტის ინსპექტორის ნებართვით გადასწყვიტა რუსულ-ქართული საანგარიშო წიგნების წარმოება. სასურველია, სხვებმაც მიბაძონ გურჯაანის ამხანაგობას.

—

— საკოოპერაციო სექციამ ქართ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისამ უკანასკნელ თავის სხდომაზედ გადასწყვიტა:

15 თებათვეს 1913 წ. თბილისში მოაწყოს სოფლის მასწავლებელთათვის, მღვდლებისათვის, წვრილი კრედიტის გამგეობათა წევრებისათვის დროებითი საკოოპერაციო და საანგარიშო კურსები.

ამ კურსების პროგრამის შემუშავება სექციამ მიანდო კ. კანდელაკს და დ. ვაჩნაძეს.

—

ჩვენ გვატყობინებენ რომ სოფ. მარტყოფში და ახალსოფელში (თბილისის მაზრა) აპირებენ მერძევეთა და კარაქის მკეთებელთა ამხანაგობის მოწყობას.

ხაზინა და ქართველი ხალხის მამული

III

ამ მრავალ რიცხოვან ხალხის ნამოსახლარი მიწა-ადგილი ერთიანად სახელმწიფო ხაზინის საკუთრებად რჩებოდა, რაზედაც მხოლოდ რუს-კოლონისტებს თუ შეეძლოთ თვალი დაეჭირათ. ასეთი ადგილები ხომ მრავალი იყო: თითქმის მთელ კავკასიას რკალივით შემოარტყეს რუსებით დასახლებული ადგილები მთელი საზღვრები და საზღვრებთან მდებარე ადგილ მამული მთავრობის ხელში

მოექცა. ჯერ იმპერატრიცა ეკატერინე მე-II ს ხელში მთელი მოსახლეობა იქმნა გამართულ ყაზახრუსებისა აზოვის ზღვიდან დაწყობილი მდინარე ლაბამდე (ერთვის კუბანს) და მეორე მხრივ კასპიის ზღვიდან ჩრდილოეთის მანიჩამდე — რასაც კავკასიის ოლქი შეადგენდა და რაიცა აღწევდა ასტრახანის გუბერნიას. *)

ბრძოლისა და ომის საშუალებით ხელში ჩაგდებული მამულები ამითაც არ ისაზღვრებოდა. საქართველო — ეს უუძლიერესი და უდიდესი სახელმწიფო მთელ კავკასიაში — რუსეთს ხომ სრულიად უომრად ჩაუვარდა ხელში. და ეს ფაქტი — საქართველოს რუსეთის ხელში გადასვლა მოასწავებდა აუარებელ მიწა-ადგილების ხაზინის საკუთრებად მოქცევას. მართალია, ჯერ-ჯეროობით არ მოგვეპოება კონკრეტული ცნობა საქართველოს მიწა ადგილების რაოდენობისა, მაგრამ ვისაც ოდნავად არის შეუსწავლია წყობილებანი ფეოდალურ — ბატონ-ყმურ წესწყობილებისა, იმისთვის აშკარაა, რომ ფეოდალურ სახელმწიფოს მთელი ძალა მიწაში იყო გამოხატული. და მართლაც, საქართველო მხოლოდ მიწით იყო მდიდარი, ქართველი მეფენი მიწით აკმაყოფილებდნენ ყოველგვარ სახასო მოთხოვნილებას, საჩუქრებიც ხომ მიწით იხატებოდა, ეკლესიას თუ მონასტრებს, თავადებსა თუ აზნაურებს მიწით ადიდებდნენ. დიახ, 1801 წლის აქტით, რუსეთის სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში დიდძალი მამული გადავიდა, მეტის მეტად გაფართოვდა ხაზინის მიწის ფონდი, მაგრამ ეს გაფართოება კიდევ ვითარდებოდა და ის დღესაც არაა შეწყვეტილი.

ამერეთში გაბატონების შემდეგ, რამდენიმე ათეული წელი გავიდა, რომ მთავრობა თავის ინტერესებითა და ძალით მიადგა იმერეთს, გურიას, აფხაზეთს, სვანეთს, სამეგრნლოს... სად ომითა და ბრძოლით, სად შესყიდვით, ხაზინა ცდილობდა ჩვენი მამულის ხელში ჩაგდებას. ეს მამულები კი — როგორცა ვსთქვით — მთავრობას საზღვრების გასამაგრებლად და ჭეშმარიტ რუსების დასასახლებლად ესაჭიროებოდა. სწორედ ეს თვალთახედვა ამოქმედებდა მთავრობას განაპირა ქვეყნებში. „აფხაზეთის საკითხი — ამბობდა დიდი მთავარი — მჭიდროთ დაკავშირებულია შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირების, კუბანიდან მდ. ბზიბამდე, ყაზახ-რუსების დასახლებით [1]), ამიტომაც მთავრობა აფხაზეთის მთავარს თ. შერვაშიძეს ფულებს ბლომად აძლევდა რომ ეს საქმე ადვილად და მშვიდობიანად მოეგვარებინათ. ასეთივე მისწრაფებით იყო აღჭურვილი მთავრობა სვანეთის საკითხშიაც, სადაც განზრახული იყო მთელი სადადეშქელიანო ხაზინისათვის გადაქცევა, რისთვისაც მეფის მოადგილე სათანადო სასყიდელს იძლეოდა. მართალია, კონსტანტინე დადეშქელიანი არ დასთანხმდა მთავრობის განზრახვებს და დიდი ურჩობა გაუწია მთავრობას. მაგრამ მთავრობამ, მიუხედავათ ამ უბედურებისა, თავისი განზრახვანი მაინც შეასრულა: კონსტ. დადეშქელიანს საჯაროდ მოესპო სიცოცხლე და მისი ჩემუხევის მამული ხაზინას გადაეცა უსასყიდლოდ [2]) სამეგრელოს ბატონის ნიკოლოზ დადიანის დიდ-ძალ მამულის სვე-ბედი ანოლოგიურად გადასჭრა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ საგულისხმიერო ის არის აქა, რომ ვინიცობაა სამეგრელოს მთავარი ხაზინის წინადადებას მშვიდობიანად არ მიიღებდა, იმ შემთხვევაში სამეგრელოს **მიდამოები გადავიდოდა ხაზინის ხელში კანონის ძალით, რომელსაც საზღვრავს სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესები** [3]).

სახელმწიფ ოებრივი მოთხოვნილებანი — რომლის წინაშე ქედი უნდა მოეხარა ადგილობრივ მკვიდრთა ყოველგვარ სურვილებსა თუ ინტერესებს — ყოველად უტიფრად ვითარდებოდა მთელ იმიერ კავკასიაში. კავკასიის იქითა მხარის ამბებს ჩვენ აქ არ შევეხებით. აღვნუსხავთ მხოლოდ, რომ აგეთი მიმართულება დღესაც არაა დასრულებული და მთავრობა დღესაც მუშაობს ისტორიულ იარაღითა და ისტორიულ — სახელმწიფოებრივ საქმეებისათვის. სრულიად ბუნებრივია, რომ კავკასიელი დეპუტატები ამ მკაცრ საქმიანობის წინააღმდეგ გააფთრებული იბრძოდნენ სახელმწიფო სათათბიროში. დეპუტატი გაიდაროვი აშკარად აღიარებდა, რომ „მთავრობამ **პირდაპირ ძალით დაიკავა აუარებელი მიწა-ადგილი ამიერ-კავკასიაში და დაარქვა ამ მიწას სახაზინო ადგილები**, რისთვისაც ზედ დასახლებულ მცხოვრებთ გადასახადს ახდევინებს. ასე მაგ., ნუსხავს გაიდაროვი, დაღესტანში მთელი ულუსის მაღლობი — ძველ დროიდან ხალხის ქონება — დღეს ხაზინამ მიითვი-

*) ესაძეს დასახელებული თხზულება.

[1]) გვ. 382.

[2]) გვ. 130.

[3]) ესაძის წიგნი გვ. 220.

სა.[1]) ასეთსავე ცნობებს. იძლევა თავის სიტყვაში მეორე დეპუტატი კარლო ჩხეიძე, რომელიც მთავრობის პოლიტიკას განაპირა ქვეყნებში მკაცრ კრიტიკაში ატარებს. „ვადასახადების საკითხში მთავრობა პოლიტიკურ მიზნებს მიზდევს—ამბობს ჩხეიძე. და თუ რა მკაცრ ფორმებში იხატება ეს მიზნები, ვხადავთ იმაში, რომ **„ადგილობრივ მცხოვრებთ იძულებით ჰყრიდნენ ადგილებიდან“**[2]) და ალაჰხმა უწყის საით მიერეკებოდნენ. მთავრობის ასეთ საქმიანობას, მამულების ეკსპროპრიაციას, აშკარად აღიარებს აგრეთვე სენატორი კუზმინსკი, რომელიც რევიზიას ახდენდა კავკასიაში.

დიდძალი მამული გადავიდა ხაზინის ხელში აგრეთვე ჩვენი მართმადიდებელი ეკლესიის ქონების სეკვესტრით. ვის არ მოეხსენება, თუ რა მდიდარნი იყვნენ ძველად ჩვენი ეკლესია-მონასტრები. მათ განკარგულებაში დიდძალი მამული და ფული იმყოფებოდა; ეკლესია-მონასტერი ხშირად იყო სხვა და სხვა კულტურის მატარებელი საქართველოში, მაგრამ მთავრობამ, იმ მთავრობამ, რომელმაც სასულიერო წოდებათა პრეროგატივას მუდამ წინ აყენებს, ის მთავრობა, რომელიც თავის რუსეთში იცავს და ამაგრებს ეკლესია-მონასტრების აუარებელ მამულ-სიმდიდრეს, აი ეს მთავრობა ჩვენში აშკარად იწყებს სულ სხვა ჰანგებზე სიმღერას და ნუსხავს, რომ საქართველოს სამღვდელოების და მართმადიდებლობის წარსამართავად, სკოლებისა და მონასტერ-ეკლესიების სათანადო დასაცავად საჭიროა მთელი საეკლესიო მამული ხაზინის საკუთრებაში გადავიდეს, ხოლო სასულიერო პირთ მთავრობა უზრუნველჰყოფს ფულის საშუალებითო[3]) რა უნდა ითქვას ამ „ლოიალურ“ განზრახვებზე, გარდა მოწონებისა!! მაგრამ რუსეთის სინოდისა და რუსიფიკატორ ეგზერხოსების საქმეების დაგვიგვინება, რასაც ხელს უწყობდა ბრჭყვიალა ლითონით დაბრმავებული ჩვენი სამღვდელოების შესამჩნევი ნაწილი—ნამდვილად ნიშნავდა იმავ უმაღლეს სახელმწიფოებრივ ინტერესების სამსახურს, რომლის სამსხვერპლოდ დიდძალი ჩვენი მამული იქმნა ხაზინის ხელში გადასული. თუ რაოდენად დიდი მამულები გადადიოდა ამ სახით რუსეთის ხაზინის ხელში, ეს სჩანს იქიდან, რომ თ. ვარანცოვის მიერ დანიშნულმა კომისიამ, ს. ს. ფადეევის თაოსნობით გამოარკვია, რომ საეკლესიო მიწებზე 1838 წ. დაბინავებული იყო 11,176 ვომლი გლეხ-კაცობა და ნაღდი ფული ეკლესიას ჰქონდა 97 ათასი მანეთი[1]).

საქართველოს საეკლესიო მამულების ბედი საბოლოოდ გადაწყდა 1852 წელს. ეკლესიების ბედსა და მის ქონებრივ ავლა-დიდებაზედ ალ. ფრონელი სხვათა შორის მოგვითხრობს: საქართველოში „ეპარქიები შეამცირეს, მრავალი სამრევლო ეკლესია დახურეს, **გააუქმეს საეკლესიო მამულები და ხაზინას ჩააბარეს** *) მათი მოვლა-პატრონობა. საეკლესიო მამულების გამგე მოურავები საეკლესიო აზნაურნი **გაირიყნენ და მშიერ-მწყურვალნი იხოცებოდნენ“**[2]). აი მთავრობის მზრუნველობა საეკლესიო მამულების და ხალხის საქმეებში.

ის მწარე ბედი, რომელიც ერგო ამერეთის საქართველოს, წილად ხვდა აგრეთვე იმერეთის კუთხეებსაც. ამერეთში ხაზინის განკარგულებაში გადავიდა 136 ათასი დესეტინა ტყე და 1.175 ნაჭერი სხვა და სხვა ხარისხის მიწა-ადგილები. გურიის სამღვდელოებამ ჩააბარა ხაზინას მთელი 22,520 ქცევა მამული, ხოლო იმერეთისამ 39,324 ქცევა, სამეგრელომ კი 43,530 ქცევა. მარტო აღნუსხულ მიდამოებიდამ მიიღო ხაზინამ არა ნაკლებ ნახევარ მილიონ ქცევა მამულისა.

ასეთივე საშუალებით უნდოდა ხაზინას ხელში ჩაეგდო უცხოების მიწა-ადგილები ჩვენში. ნუ თუ აქაც საზღვარ-გარეთელ ეკლესია-მონასტრების ბედი აწუხებდა მთავრობას?! მაგრამ ევროპა იმდენად უგუნური გამოდგა, რომ რუსეთის კეთილ განზრახვაში სამართლიანად შეიტანა იეჭვი და ძალით ააღებინა რუსეთს ხელი თავის უმაღლეს სახელმწიფოებრივ ინტერესების საქმეებზე.

მაგრამ რუსეთმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს...“ და თავის უუტკბილეს აგრესიულ პოლიტიკის სამსახურს სხვა მხრივ შეუდგა. მართალია, ისე ერთბაშად, ისე ფართოდ ვერ მოახერხებდა ადგილობრივ ხალხის მამულის ხელში ჩაგდებას,—როგორც საეკლესიო და კერძო პირთა მამულებისას ახერხებდა, მაგრამ თვით

---

[1]) Кавказскіе депутаты въ 3-ей Госуд. Думѣ გვ. 171-172.

[2]) იქვე, გვ. 182

[3]) Эсадзе „Историч. записка“...

[1]) ესაძე, გვ 178 ტ. II.

*) კურსივი ცოტა ტემაშიაც ჩვენი იქნება —თ. ღ.

[2]) იხ. ალ. ფრონელი: „ამბოხება კახეთისა“ 1812 წ ისტორიული ამბავი, გვ 64

შინაურ ცხოვრების საქმეებშიაც შეიძლებოდა საქმის დიდად წინ წაწევა.

მკითხველი მიხვდება, რომ ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს რუსეთის მთავრობის პოლიტიკა, გატარებული ჩვენი ხალხის მიწათმფლობელობის საქმეებში. როგორც ვიცით, საქართველოში მე-XIX საუკუნის დასაწყისში მიწათმფლობელობა არ იყო სათანადოთ გამორკვეული. მიწების დამიჯვნა ხომ წინად არ იცოდნენ; ასეთი წესი მამულების საზღვრების გამორკვევისა რუსეთში მხოლოდ ეკატერინე მე-II-ს დროიდან დაიწყო (1765 წლის 19 ენკენისთვის მანიფესტით. — დოლგოვი). საქართველოში კი განუწყვეტელ ომიანობის გამო, საქმე ერთიანად აწეწილ-დაწეწილი იყო და რა თქმა უნდა აგრე რიგად აძლვრეულ წყალში თევზების ჭერაც ადვილად მოსახერხებელი იქნებოდა.

მთავარი საქმე მდგომარეობდა მიწა ადგილზე საკუთრების უფლების გამორკვევაში. თანამედროვე სამოქალაქო უფლების ანბანი ხომ კერძო საკუთრების ჩამოყალიბება—ხელუხლებლობაა. ამიტომ პირველად რუსეთმა დააწესა ჩვენში სახაზინო ექსპედიცია სხვა და სხვა ნაწილებით. ამ ექსპედიციის მოღვაწეობა მეტის მეტად მკაცრი და შეუწყნარებელი გამოდგა ჩვენი ხალხისათვის. განსაკუთრებით ერმოლოვის ზომები ჩაითვლება კლასიკურად ამ დარგში, რომელმაც 1817 წლის გამოსცა ბრძანება, რომლითაც ერთი წლის განმავლობაში ყოველ მიწის მესაკუთრეს უნდა წარედგინა სადაც ჯერ არს თავის უფლების შეურყეველი საბუთები. ერთი შეხედვით ამ აქტში არაფერია არა-ჩვეულებრივი. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით მას, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ასეთ პოლიტიკით ერთიანად დაინგრეოდა მცხოვრებთა ინტერესები. ერმოლოვის ზომებს სხვა მკვლევარნიც პირდაპირ შეუწყნარებლად სთვლიან. ასე უყურებს მაგ. ამ საკითხს ეგიაზაროვი [1]), რომელიც ეხება ერმოლოვის ბრძანებას 20 მაისის (1817 წლ.) თარიღით გამოცემულს, რომლითაც სახაზინო ექსპედიციისათვის მესაკუთრეებს საბუთის ქაღალდები უნდა წარედგინა ერთი წლის განმავლობაში. ანალოგიური ბრძანება იყო გამოცემული, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში ისე „იმერეთის სამართველო“-ს საბრძანებლოში. ამ ბრძანების თანახმად მესაკუთრეს არ შეეძლო თავისი საკუთარი მამული თავისი სრული ნებითა და ინტერესით გაეყიდნა ან ახალი შეეძინა. მიწის მყიდველს მიწას მყისვე ჩამოართმევდნენ, როგორც კი მიწის გამყიდველი მთავრობას ყოველად შეურყეველ საბუთებს არ წარუდგენდა მიწის საკუთრების გამამართლებელს. ასეთ საბუთების შოვნა კი სრულებით არ შეეძლო ჩვენს გლეხობას—სრულიად უცოდინარს ბუ-უროკრატიულ წესებისას, რომელსაც არ ესმოდა რუსული ენა და ვინაობა იმ დაწესებულებისა, რომელთანაც მას საქმის დაჭერა უწევდა. ძველ ქართულ საბუთის ქაღალდებს კი ყალბად რაცხავდნენ რუსის მოხელენი.

მდგომარეობა მართლა რომ აუტანელი იყო. დიდ ძალი მამული უნდა გადასულიყო ხაზინის ხელში. რომ უკანონო გზით მიწების შეძენა რამდენადმე სამართლიანობის ფარგალში მოემწყვდიათ, მთავრობის დაწესებულება უკანასკნელ შემთხვევაში დასტურს დართავდა მიწების მოძრაობას, თუ ქართველი მემამულენი სახელმწიფოს ქონებათა პალატიდან გამოიტანდნენ მოწმობას, რითაც შესაძლებელი იქნებოდა მოხელეთა დარწმუნება, რომ ესა და ეს მამული ხაზინის საკუთრებას არ შეადგენდა. მაგრამ ასეთ მოწმობას ვინ მისთავაზებდა ტეტია გლეხებს, როდესაც მოწმობის გამცემნი ხაზინის ინტერესების დამცველნი იყვნენ. და რომ მთავრობის მოხელენი მთელ მე-XIX—საუკუნის სივრცეზე არა ჩვეულებრივ ზომებით ხელიდან აცლიდნენ ქართველ ხალხს თავის მიწა-წყალს, ამას ხომ დღეს არავინ არ უარჰყოფს. ამ ფაქტს სრულებით არ უარჰყოფს შეფის მოადგილე გრაფი ვორონცოვ-დაშკოვიც, როდესაც ამბობს: „ჩვენს მიწის საკითხის პოლიტიკაში სჭარბობდა მისწრაფება, შეედგინათ **ხაზინის ფონდი სახელმწიფოს მომავალ საჭიროებათა** დასაკმაყოფილებლად. **თუნდაც ეს მისწრაფება კერძო პირთათვის საზარალო ყოფილიყო**“ [2]).

ამაზე ნათლად, ამაზე მკაფიოდ მთავრობის პოლიტიკის აღნუსხვა და დახასიათება ვისლა შეუძლია ბატონებო?

---

[1]) С. А. Егіазаровъ „Формы крест. землевл. въ Кусаис. губ. и возникновленіе спортныхъ земель“ „Св мат.“ т. I ч. I зз. 200.

[2]) იხ. Графъ Воронцовъ-Дашковъ „Всеподданейшая записка по управленію Кавказскимъ краемъ“ зз. 58.

თევდ. ლლონტი.

(დასასრული იქნება)

ქართული თეატრის გარშემო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შანშიაშვილის გამოსვლა ქართულ სცენაზედ მეტად ტიპიური მოვლენაა, და მარტო ამიტომ შეიძლება ამაზედ დაბარაკი, თორემ არც ერთი პწკარი სიახლისა ან შეძ"ესობისა მას არ შეუტანია ჩვენი მედგომების ტაძარში.

ერთი მხრით მოუხეშავი მიხვრა-მოხვრა, დამოკიდებული მისი კომპლექციისაგან, მეორე მხრით ღრეჯია მიშიკა და გლეხის შეუფერებელი პათოსით დაბარაკი („მსხვერპლი"—ვანო), ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ ჩვენს არტისტებს ფიქრადაც არ მოსდით რაიმე არამთუ სკოლის, უბრალო დისციპლინის მიმდევრობა თავიანთ მოქმედებაში.

ზოგ მათგანს თითქო ნიჭის ჩანასახიც აქვს, მაგრამ არტისტიული შეგნება აკლია; არამთუ მთელი პიესის მთლიანობა გარკვევით არსოდეს არა ლაგდება მათს „თამაშში", პირადი როლებით ბოლომდე გამსჭვალვაც შეუძლებელია მათთვის. არ გვახსოვს თითქმის არც ერთი წარმოდგენა, სადაც ისეთი ნიჭიერი მსახიობნიც კი, როგორიც არიან მაგ., ზარდალიშვილი, დავითაშვილი, ქიქოძე და სხ. ბოლომდე მთლიანი შთაბეჭდილება გამოგვეტანა.

ზოგ ადგილს თითქმის უმაღლესი ნიჭის გამოჩენია გაუტარებენ—ზოგს კი ისეთის მოუხეშაობით, რომ გიკვირს—ნუ თუ ეს ერთი და იგივე ადამიანია. რა არის მიზეზი? რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა უწვრთნელობა რომელიმე სკოლის ან მცოდნე პირის ხელმძღვანელობით და მეორეც—საკუთარი უნარის უქონლობა მუშაობა შეგნებაში.

ჩვენი ახალგაზრდა მსახიობნი, როგორც ჩვენი ხალგაზრდა პოეტებიც, შეგნებულად თუ შეუგნებლად მისდევენ იმ ფორმულას, რომელიც ერთ კერძო დაბარაკში გამოთქვა თავის თავზედ ალ. შანშიაშვილმა: „ბულბულს რად უნდა სწავლა". ეს ფორმულა არა მარტო ზერელე შეგნების მომასწავებელია, იგი ბუნებრივსიზარმაცის მაჩვენებელიც არის. ყოველს ხელოვნების მოტრფიალე ადამიანს, თუ კი სურს საკუთარი განცდანი სხვასაც განაცდევინოს და არა თავისი თავი დაატკბოს მხოლოდ, როგორც თვალდახუჭულმა მამულმა, უნდა ჰქონდეს არამთუ სწავლა-განათლება საზოგადოთ და ხელოვნების დარგებშიაც, არამედ საკუთარის ნიჭიან გათვითცნობიერებაც. არტისტს დრმად უნდა ჰქონდეს შესმენილი ის მცნება, რომ მარტო მაშინ შესძლებს სხვაზედ მოქმედებას, როცა თვითონ ღრმად შეითვისებს საგანს, რომელსაც მაყურებელთ თვალწინ უყენებს. ეს კი ჩინური ანბანიცით ეზოთირებათ თითქო ჩვენ მსახიობთ.

ნიჭს, როგორც ტალანტს დვთისას, ჩვენი ახალგაზრდა მსახიობნი და პოეტები, მართალია, მიწაში არა ფლავენ, უხეირო შვილებიც ვიყოთ, პირიქით მაშინვე ქმაურნას შეჭურიან ხოლმე, მაგრამ მოტრიალდება თავისა ანუ განვითარება-გაძლიერება დვთის ნაბოძებისა სწავლით, ვარჯიშობით, **ალზრდით** მათთვის უცნობი ხდება, ვერ დაიჩივლებს ქართველობა უნიჭობას, მაგრამ რამდენი აუარებელი ნიჭიერი ახალგაზრდა ჰქრება ცხოვრების ზედაპირიდან მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნიჭი ერთ პირველ ველოფეილ დონეს ვერ გასცილებია.

ახალმოულენილ შანშიაშვილზედ, მგონი ისიც არ ითქმის, რომ ნიჭიერი იყოს... არ ეტყობა მაინც... და კარგი იქნებოდა მუყაითის მუშაობით და სურვილით მაინც გადაეფარა საზოგადოების ურწმუნოება.

ამ შემთხვევაში საუკეთესო წასაბაძ მაგალითის წარმოადგენს შალიკაშვილი, რომელიც თავისი შეგნებული და დაკვირვებული თამაშით ეველაზედ მალლა სდგას ახალგაზრდებში და ყოველთვის ჩინებულად თამაშობს. კარგი იქნებოდა რომ, როგორც რეჟისორს, მეტი ყურადღება მიექცია ამხანაგებისათვის და ეშოქმედნა მაინც, თორემ მაყურებელთ ძალიან აეერთხობს ხოლმე ნახტომ-ნახტომი თამაში უწვრთნელ არტისტებისა.

—

8 იანვარს ქართულ თეატრში წარმოადგინეს რუსულად „ალალტი", ეს იყო ნამდვილი ალტალტ ელემენტალურ სასცენო ხელოვნებისა. სცენის მოყვარულნი თითქო განგებ შეიქმნელიყვნენ, რომ დრამა კომედიათ, ანუ შბეთ, ბროდიად გადექცია. ელისაბედ ჯამბაკურ-ობოლიანისა დიდი მადლობის ღირსია გეთილის განხორციელებისათვის, მაგრამ მსახიობი კი მეტად უხეირო გადოდგა. სცენაზედ ჩვენ ვხედავდით ზეისბის მაგიერ, რადაც... „смѣсь французскаго съ нижегородскимъ". რადის გაზეთრების გარდა, საჭიროა ადამიანს ტოტად მაინც იცოდეს თუ რას ჰქვიან სასცენო მოქმედები. ქალ-

ბატონი ელისაბედი კი მარტო დაუბრაკობდა; და არა როგორც ზეინაბი, არამედ როგორც სათრანგუთის სალონში გაზრდილი არისტოკრატკა. ჭაურიანის ჩაულაზვეთ ზოგიერთი სიტყვებისა და მარცვლებისა და თვალების ზეცაში აბურობით არ შეიქმნების ტრაგიზმი მდგომარეობისა.

ირაკლიზე ვილამაც იოხუნჯა: „О, я не царевичъ, а... дворникъ“. მგონი, ეს მსჯავრი მეტად სასტიკია... „დვორნიკისათვის“: რაც უნდ იყვეს, დვორნიკებს მარტო მთვრალი, აყალ-მაყალის მოყვარულ ხალხთან ჩხუბის დროს თუ უნდებათ ხელების ისე ქნევა, თვალების ბრიალი და თავის ტრიალი და „დალატში“ რომ ასეთი ქცევისათვის შესაფერი ატმოსფერა არა ეოფილა... მერე არისტოკრატულ „დალატში“.

მაგრამ ეგვალზედ „უკეთესი“ იყო კობიაკოვი, ამბობენ კარგ „სცენის მოყვარედ ითვლებაო“. სცენა იქნ ბა კიდეც ეყვარდეს მართლა, მაგრამ მაყურებელთა რა გადასახადია, არ ვიცით. კობიაკოვი, ამბობენ, თამაშობდა ოთარბეკის როლს; ზეინაბი მართლაც ეძახდა: „ო!... ტაჭარბეეკ“, მაგრამ ჩვენ ვხედავდით მარტო გაბამბულ-ვებულ „ტარას ბულბას“, გარეგნობითაც და სანტიმენტალურ გულში ხელის ცემით და ხმის კანკალითაც და ოხვრით.

სხვებიც „ანსამბლს“ იცავდნენ.

არ შეგვიძლიან მხოლოდ გულის ეური დრამატიული და ჩვენი საზოგადოებისა არ მივაქციოთ ქალბატონ თამარ ეანჩაველის თამაშზედ. მართალია, მას ბატარა და მოკლე როლი ჰქონდა—ისახარისა, -მაგრამ ნიჭი და ცოდნა ბატარაშიაც ისე კარგად სჩანს, როგორც დიდში. სუმბათაშვილის პიესით, ისახარი—სიმბოლოა „არარაობისა“, ანუ უკეთ, ადამიანისა, რომლის გულში უბედურებას იმდენი მწვავე დაღი ამოუწვავს, იმდენი აუტანელი ტანჯვა გაუტარებია, რომ შეწეტილა მასში გრძნობა სიცოცხლისაც კი. იგი შიშსაც კი არ განიცდის სიკვდილის წინაშე და არა იმიტომ, რომ გულადია, არამედ იმიტომ, რომ ქვეუნად ადარა დარჩენია რა: იგი „არარა“ არის. და აი, ასეთი მძიმე როლი,მძიმე—ადამიანისთვის, რომელსაც კიდევ ადელვებს რამ ქვეყანაზედ—საუცხოოდ შეასრულა თ. ეანჩაველმა. იმის გატიებულს, გაქვავებულს სახეზედ ისეთი არა ადამიანური, გარდუვალი, გრძნობას გამოკლებული დიმილი გადირბენდა ხოლმე, თითქა საუკუნეთა არარაობა მას განეცადა; ეს დიმილი, ადამიანის დიმილი კი არა, განუეენებელი არარაობის იდეა იყო... ქ-ნ ეანჩაველის ხმა და სიტყვები, საკეთესოდ ეწყობოდნენ მისგან განხორციელებულ ეტეობა, ნიჭთან, ჩახედულობის უნარიც ჭეშმარიტად შეთვისებაც სცოდნია დედა აზრისა. ათასში ერთხელ რომ ხმას არ ელალატნა და არ შეშლოდა კილო—სწორედ უნაკლო მსახიობი იქნებოდა. ეს ერთად ერთი „ნათელი“ წერტილი იყო, რომელზედაც ადამიანის თვალი დაისვენებდა და ეს იყო—„არარაობა“.

—

„სახ. გაზეთსა“ და დრამატიულ საზოგადოების შორის უცნაური დიალოგი მოხდა; ერთმანეთს უხსნიან თუ რაში არის და რაში არა ეროვნული თვგმოყვარეობის შელახვა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოებას ვერ გაუგია, რომ ქართული ბრესის განდევნა ქართული თეატრიდან—მისივე შეურაცხეოფაა და გულუბრეყვილოდ ამბობს: მე კი არა, მოიკარადრემ განდევნა და რუსულ ბრესის წარმომადგენელთ კი ადგილი მისცა.

რასაკვირველია, ბრესის ეგვალა წარმომადგენელს შეეძლიან, თუ კი მოისურვებს, ფულით შეიძიოს შესასვლელი ბილეთი, და ასეც სჩადის, მაგრამ ბრისციბიალეურად ეკეთ რა ეფასებოდ ეგვალა ეკეთ ქართული თეატრისა და არ გამოეოფვა ქართული ბრესის ინტერესებისა. ეს მოგლებულია უბრალო ზრდილობასაც კი. უცხოთ რა მოგთხოეოთ და ჩვენ საკუთარ „დრამატიულ საზოგადოებას“ კი არ შეგეფერის ასეთი უდიერი ქცევა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დრამატიული საზოგადოება ქართულ ბრესის წარმომადგენელთ სამუდამოდ გადაკვეთილ ადგილს მიუჩენს და...თუ ეს საზარალოა დიდათ, განსაზღვრულ ფასს გადაახდევინებს წლიურად, რომ ეგვალა გამეფლელ-გამომეფლელს არ შეეძლოს მათთვის ხელის წამოკვრა: „მინდა შეგიმეგებ მინდა არაო“. ქართული ბრესა, როგორც საკუთარ სახლში, ისე უნდა გრძნობდეს თავსა ქართულ თეატრის დარბაზში. მით უფრო, რომ ეს უფრო სასარგებლოა ქართული თეატრისათვის, ვიდრე ქართული ბრესისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის

„სახალხო გაზეთზე“

ყოველდღიურ გაზეთის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

„სურათებიანი დამატება“ (კვირაობით).

პრემიად 1913 წლის წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ **ორ წიგნს**

1) **უცხოეთის მწერლები.** (400 გვ.) 2) **ქართველი მწერლები.** (500 გვ.)

გაზეთის ფასი ყველა პრემიებით წელიწადში 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ., ერთი თვით 75 კ.

იმ ხელის მომწერმა, რომელიც **ორივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ათი შაური**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის მოწერის პირობები: 1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით. „სახალხო გაზეთი“-ს კანტორა ღიაა დილ. 9—3 ს.-მდე და საღ. 5—7 ს.-მდე, გარდა კვირა-უქმეებისა.

მისამართი: Тифлисъ, Груз. газ. **„Сахалхо Газети“**. поч. ящ. 190.

გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის

წელიწადი მეორე **„ხმა კახეთისა“**-ზე წელიწადი მეორე

1913 წელს ჯერ-ჯერობით გაზეთი გამოვა კვირაში **ორჯელ**, ხუთშაბათობით და კვირაობით იმავე პროგრამით.

გაზეთის ფასი:

	ფოსტით გაგზავნა.	სიღნაღში და სოფლებში.
ერთი წლით	3 მ. 50 კ.	2 მ. 50 კ.
ნახევარი წლით	1 „ 80 „	1 „ 30 „
ერთი თვით	— 40 „	— 25 „

ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და სხვა ანგარიშები უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს:

г. Сигнахъ К. I. Ткавадзе.

ელექტრომბეჭდავი სტამბა ს. მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 5.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივ გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაუთმობათ **სამ მანეთად**. საზღ.-გარ. 6 მან. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადაიხდის, საჩუქრად მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა **თბილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე აბალიშვილთან**. **ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან. **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განთიადი“. ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიბარონ ჟურნალი.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულზე“

წელიწადი მეცხრე

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივ პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის. . . 12 წიგნი

ღირება წლიურად 5 მან., ნახევარ წლით 3 მან., ცალ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მან., საზღვარ გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს.
ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტი, 8.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

Открыта подписка на 1913 годъ

на политическую, общественную и литературнук ежедневную газету

„ЗАКАВКАЗЬЕ“

Безпартійно-прогрессивный демократическій органъ, обслуживающій интересы Закавказскаго края, безъ различія националистей.

(Восьмой годъ изданія·

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой въ городѣ Тифлисѣ:

12 м. 5 руб., 11 м. 4 р. 70 к., 10 м. 4 р. 40 к., 9 м. 4 р. 10 к., 8 м. 3 р. 80 к., 7 м. 3 р. 40., 6 м. 3 р. 5 м. 2 р. 60 к., 4 м. 2 р. 20 к., 3 м. 1 р. 75 к., 2 м. 1 р. 35 к., 1 м. 75 к.

Съ пересылкой для иногороднихъ

7 р., 6 р. 50 к., 6 р., 5 р. 50 к. 5 р., 4 р. 50 к., 4 р., 3 р. 50 к., 2 р. 80 к., 2 р. 10 к. 1 р. 40 к., 75 к.

Заграницу вдвое больше городской

Для годовыхъ подписчиковъ допускается РАЗСРОЧКА по 1 р. въ мѣсяцъ.

Подписка принимается только съ перваго числа каждаго мѣсяца и не далѣе, какъ до конца года, въ конторѣ редакціи на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинскаго Дворянства (входъ со двора грузинскаго театра)

Телефонъ № 917.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:

Для Закавказья на мѣсто, занимаемой строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. зрѣлища и увеселенія 20 коп.

За многократныя объявленія скидка.

Объявленія о спросѣ и предложеніи труда, объ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги и т. д. на 4 стр.—25 к. каждое. Траурное объявленіе—4 руб.

Объявленіе внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая д. Сытова, въ отдѣленіяхъ въ гор. С.-Петербургѣ—большая Морская. № 11, въ Варшавѣ—Маршалковская, № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 коп. послѣ текста.

მოითხოვეთ ყველგან

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ახხაბადში, ტაშკენთში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866½ დესეტინა ვენახი, საიდამაც უზიდავენ საზოგადოებას **ნამდვილ კახურ ღვინოს!**

ძალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების **წევრებად** და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება—გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“